დანართი № 1

Erasmus + პროგრამით სტუდენტებისათვის გათვალისწინებული სტიპენდიის მოპოვების წესის დამტკიცების შესახებ

დამტკიცებულია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის
აკადემიური საბჭოს 2015 წლის 16.07 ოქმით № 11;

ცვლილება შევიდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის
აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 დეკემბერის № 145/2021დადგენილებით

ცვლილებათა პროექტი

- I პუნქტის სათაურად განისაზღვროს "ზოგადი დებულება".

- **პირვანდელ რედაქციაში (პუნქტები 2,3,4,5,6,7)** გაერთიანდეს შემდეგი სათაურის მქონე მუხლი 2-ის ქვეშ: "Erasmus+ პროგრამით სტიპენდიების კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველი თსკ-ის სტუდენტების შესახებ" და პუნქტების ნუმერაცია განისაზღვროს შემდეგი სახით - 2.1., 2.2, 2.3, 2.4., 2.5., 2.6:

- **პირვანდელ რედაქციაში (პუნქტი 2) ჩანაწერი:** "საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი უზრუნველყოფს Erasmus+ პროგრამით სტიპენდიების კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველი თსკ-ის სტუდენტების ინფორმირებას ევროკავშირის წევრი ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გამოცხადებული ვადების შესაბამისად" **ამჟამინდელი რედაქციით პუნქტი 2.1 ჩანაცვლდეს შემდეგნაირად:** "საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი უზრუნველყოფს Erasmus+ პროგრამით სტიპენდიების კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველი თსკ-ის სტუდენტების ინფორმირებას ევროკავშირის წევრი/ასოცირებული მესამე ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გამოცხადებული ვადების შესაბამისად."

- **პირვანდელ რედაქციაში (პუნქტში 4)** მითითებული "ევროკავშირის წევრი ქვეყანა" **ჩანაცვლდეს ამჟამინდელი რედაქციით პუნქტში 2.3** ტერმინით "ევროკავშირის წევრი/ასოცირებული მესამე ქვეყანა";

- **პირვანდელ რედაქციაში (პუნქტში 5ა)** ჩანაწერი: "პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ენის შესაბამის დონეზე ცოდნის სერტიფიკატი (TOEFL, IELTS)" **ჩანაცვლდეს ამჟამინდელი რედაქციით პუნქტში 2.4.1 შემდეგი ჩანაწერით**:
  - პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ

მოთხოვნილი ენის შესაბამის დონეზე ცოდნის სერტიფიკატი (ინგლისურის შემთხვევაში: TOEFL, IELTS, Pearson PTE Academic, Cambridge ESOL) ან თსკ-თან ინსტიტუციური შეთანხმებით ჩატარებულ ტესტირებაში დამაკმაყოფილებელი შედეგის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი;

- **პირვანდელ რედაქციაში (პუნქტში 5ა) ჩანაწერი:** "მათ, ვისაც არ აქვს ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, უნდა წარადგინონ პარტნიორი ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ენის ტესტის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი ევროკავშირის წევრი ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო ენად შემოთავაზებული ენებიდან ერთ-ერთის, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოთხოვნილი ენის ცოდნის დონესთან", **ამჟამინდელ რედაქციაში (პუნქტი 2.4.1) გაუქმდეს;**

- **პირვანდელ რედაქციაში (პუნქტი 5ა) ჩანაწერი:** "პარტნიორი ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ენის ტესტის ჩაბარებას უზრუნველყოფს კონსერვატორია" **ამჟამინდელ რედაქციაში (პუნქტი 2.4.1) ჩანაცვლდეს** შემდეგნაირად: "ენის ტესტში არადამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში თსკ უზრუნველყოფს პარტნიორი ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას.";
- **პირვანდელ რედაქციაში (პუნქტი 5გ (აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება, 18.05.2016 წ. ოქმი #5)) ჩანაწერი:** "ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის პროგრამის დამამთავრებელი კურსის სტუდენტები ვერ ისარგებლებენ ერასმუსის პროგრამით კურსის ბოლო სემესტრში იმ შემთხვევაში თუკი კონსერვატორიის და პარტნიორი უმაღლესის სემესტრის დასასრული არ ემთხვევა ერთმანეთს" **ამჟამინდელ რედაქციაში (პუნქტი 2.4.3) გაუქმდეს.**

- **პირვანდელი რედაქციით პუნქტში 5გ ამჟამინდელ რედაქციაში (პუნქტი 2.4.3) დაემატოს შემდეგი ჩანაწერი:**
    - სტუდენტი არ უნდა იღებდეს კონკურსში მონაწილეობას დამატებით სემესტრში სტიპენდიის მოპოვების მიზნით;
    - კონკურსში მონაწილეობის მსურველს უნდა ჰქონდეს სტუდენტის აქტიური სტატუსი.

- **პირვანდელ რედაქციაში (პუნქტი 6) ამჟამინდელ რედაქციაში (პუნქტი 2.5) დაემატოს შემდეგი ჩანაწერი:**
    - გაცვლით ან მობილობის პროგრამაში მონაწილეობის ერთ-ერთი პირობაა სტუდენტის მიერ შევსებული სასწავლო ხელშეკრულება (Before the mobility), რომელსაც ხელს აწერს სტუდენტი, კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და მასპინძელი (მიმღები) უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულება. აღნიშნულ ხელშეკრულებაში ჩამოთვლილია ის საგანმანათლებლო დისციპლინები, რომლებსაც სტუდენტი, გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის (სტიპენდიის მოპოვების) შემთხვევაში, გაივლის მასპინძელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

- გაცვლითი პროგრამის სტიპენდიის მოპოვებით დაინტერესებული სტუდენტი ვალდებულია თავად მოიძიოს სასურველი მასპინძელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ვებგვერდზე (იმ შემთხვევაში თუ მასპინძელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ამ ინფორმაციას მიაწვდის კონსერვატორიას, იგი ხელმისაწვდომი იქნება კონსერვატორიის მიერ წინამდებარე წესით გათვალისწინებული განცხადების შინაარსში) უცხოელი სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი იმ საგანმანათლებლო დისციპლინების ჩამონათვალი, რომელიც იკითხება გაცვლითი პროგრამით გათვალისწინებულ მობილობის ენაზე იმ საგანმანათლებლო სემესტრში, რომელიც გათვალისწინებულია მობილობის სემესტრად რეგისტრაციის თაობაზე განცხადების მიხედვით და შეავსოს სასწავლო ხელშეკრულება;
- სტუდენტი ვალდებულია მასპინძელი უსდ-ის მიერ სტიპენდიის მოპოვების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე სასწავლო ხელშეკრულების სამუშაო ვერსია (Before the mobility) წარუდგინოს კრედიტების აღიარების დარგობრივ კომისიას, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სასწავლო ხელშეკრულების დაზუსტებული ვერსიის ფორმირებას და კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისათვის მიწოდებას ხელმოწერის მიზნით;
- სასწავლო ხელშეკრულების შევსებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას, რომ მასში არ არის რეკომენდებული ისეთი საგანმანათლებლო დისცილინების მითითება, რომელიც სტუდენტის მიერ მასპინძელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან დაბრუნების შემდეგ გამოიწვევს სტუდენტის სწავლების პერიოდის გახანგრძლივებას, მაგრამ თუ აღნიშნული საჭიროება გარდაუვალი იქნება, ამის შესახებ სტუდენტს უნდა განემარტოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ამ უკანასკნელის მხრიდან სასწავლო ხელშეკრულებაზე ხელმოწერამდე.

- **პირვანდელ რედაქციაში (პუნქტი 7) არსებული ჩანაწერი:** "საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი აგზავნის Erasmus+ პროგრამაში მონაწილეობის მსურველ სტუდენტთა საბუთებს პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტში/ოფისში;"
  ამჟამინდელ რედაქციაში (პუნქტი 2.6) ჩანაცვლდეს შემდეგი ჩანაწერით:
  "საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი ადასტურებს ინსტიტუციური თანამშრობლობის საფუძველზე შეთანხმებული პლატფორმებიდან Erasmus+ პროგრამაში მონაწილეობის მსურველ სტუდენტთა საბუთების პარტნიორ უმაღლეს

საგანმანათლებლო დაწესებულებებში გაგზავნას. ასეთი პლატფორმის არარსებობის შემთხვევაში, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი აგზავნის Erasmus+ პროგრამაში მონაწილეობის მსურველ სტუდენტთა საბუთებს პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტში/ოფისში";

- **პირვანდელ რედაქციაში (პუნქტები 8,9,10,11)** გაერთიანდეს შემდეგი სათაურის მქონე მუხლი 3-ის ქვეშ: "თსკ-ში Erasmus+ პროგრამით სწავლის მსურველი პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა შესახებ" და პუნქტების ნუმერაცია განისაზღვროს შემდეგი სახით - 3.1., 3.2, 3.3, 3.4.:

- **პირვანდელ რედაქციაში (პუნქტში 8)** მითითებული "ევროკავშირის წევრი ქვეყანა" **ჩანაცვლდეს ამჟამინდელი რედაქციით პუნქტში 3.1** ტერმინით "ევროკავშირის წევრი/ასოცირებული მესამე ქვეყანა";

- **პუნქტში 3.1. ჩაემატოს ქვეპუნქტები:**
  3.1.1. საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი უზრუნველყოფს საორგანიზაციო საკითხებს, გასცემს ინფორმაციას, უწევს საჭირო კონსულტაციას Erasmus+ პროგრამაში მონაწილეობის მსურველ პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებს და წარმართავს მათ საქმეს თსკ-ის მიერ გამოცხადებული კონკურსის წესის მიხედვით;
  3.1.2. თსკ-ში Erasmus+ პროგრამით სწავლის მსურველმა პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებმა თსკ-ის საერთაშორისო დეპარტამენტში მოთხოვნილი დოკუმენტაცია უნდა გამოგზავნონ 15 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე (გაზაფხულის სემესტრში სწავლის სურვილის შემთხვევაში) ან 15 მარტიდან 15 აპრილამდე (შემოდგომის სემესტრში სწავლის სურვილის შემთხვევაში);
- **პირვანდელი რედაქციით პუნქტში 9 არსებული ჩანაწერი:**
  9. თსკ-ში Erasmus+ პროგრამით სწავლის მსურველმა ევროკავშირის წევრი ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

  - სააპლიკაციო ფორმა;
  - Curriculum Vitae;
  - სამოტივაციო წერილი;
  - ნიშნების ფურცელი/დიპლომის დანართი ან სწავლების საფეხურის/წინა საფეხურის დამადასტურებელი საბუთი;
  - აუდიო/ვიდეო ჩანაწერი (მასპინძელი უმაღლესის მოთხოვნების შესაბამისად);
  - პასპორტის ასლი;
  - მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

- უცხო ქვეყანაში მიღებული სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- 2 ფოტოსურათი;

ამჟამინდელ რედაქციაში (პუნქტი 3.2) ჩანაცვლდეს შემდეგი ჩანაწერით:

3.2. თსკ-ში Erasmus+ პროგრამით სწავლის მსურველმა ევროკავშირის წევრი/ასოცირებული მესამე ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- სააპლიკაციო ფორმა;
- Curriculum Vitae;
- სამოტივაციო წერილი;
- ნიშნების ფურცელი/დიპლომის დანართი ან სწავლების საფეხურის/წინა საფეხურის დამადასტურებელი საბუთი;
- აუდიო/ვიდეო ჩანაწერი (მასპინძელი უმაღლესის მოთხოვნების შესაბამისად);
- პასპორტის ასლი;
- მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- 1 ფოტოსურათი

- **პირვანდელ რედაქციაში (პუნქტში 11)** მითითებული "ევროკავშირის წევრი ქვეყანა" **ჩანაცვლდეს ამჟამინდელი რედაქციით პუნქტში 3.4 ტერმინით** "ევროკავშირის წევრი/ასოცირებული მესამე ქვეყანა".